

დონორი: ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო

კახეთის  
საინფორმაციო  
ცენტრი

ძებნა...

მთავარი რუბრიკები სტატიები ჟურნალისტური გამოძიება ფოტო რეპორტაჟი ვიდეოგალერეა აუდიო:

რუბრიკები საზოგადოება

Share |

## ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ რამდენიმე მედიასაშუალებას ეთიკის ქარტიის საბჭოში უჩივის

პარასკევი, 05 ნოემბერი 2010 22:12

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ გაზეთებს „რეზონანსს“, „24 საათს“, საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ და „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოში უჩივლა. „მწვანე ალტერნატივა“ მედიასაშუალებებს ეთიკის ქარტიის და ქარტიის წესდების დარღვევაში ადანაშაულებს.

„2010 წლის 2 და 3 ნოემბერს რამდენიმე მედიასაშუალებაში გამოქვეყნდა შემდეგი სახის ინფორმაცია: „საგარეჯოს, თელავს, ყვარელსა და ლაგოდეხს ღვარცოფები დიდ საშიშროებას უქმნის“ <http://ick.ge/rubrics/ecology/3404-2010-11-02-10-33-21.html> ინფორმაციის წყაროდ მოხსენიებულია „მწვანე ალტერნატივა“. ასოციაციას მსგავსი სახის საჯარო განცხადება არ გაუკეთებია. არც მის რომელიმე წარმომადგენელს მიუცია ინტერვიუ ზემოთ მოყვანილი მედია საშუალებებისთვის“, - აღნიშნულია საჩივარში, თუმცა მომჩივანი, „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე გაზეთ „რეზონანსის“ წინააღმდეგ შეტანილ საჩივარში აღნიშნავს: „ჩვენი ვარაუდით ავტორმა სტატიის შედგენისას უბრალოდ ისარგებლა ორგანიზაციის მიერ 2008 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავებული ანგარიშით „ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვა და ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული მიგრაცია საქართველოში“. ანგარიში ხელმისაწვდომია „მწვანე ალტერნატივას“ ვებგვერდზე“.

„მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელ დირექტორს ნინო გუჯარაიძეს მიაჩნია, რომ ჟურნალისტების მიერ დარღვეულია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შემდეგი დებულებები:

- 1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.
- 3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.
- 4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.
- 11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება; ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ; პლაგიატი.

საჩივარში ნინო გუჯარაიძე ასევე აღნიშნავს: „ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქ-ნი მარი ოთარაშვილი („რეზონანსის“ კორესპონდენტი) არ არის საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ხელმძღვანელი, თუმცა ქარტიის ხელმძღვანელია გაზეთის „რეზონანსი“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ქ-ნი ელისო ჩაფიძე. ამდენად, ჩვენი მოსაზრებით, ქ-ნი ელისო ჩაფიძეც პასუხისმგებელია საჩივარში მოყვანილ დარღვევაზე“.

საჩივარში მოცემული ერთ-ერთი მედიასაშუალების, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი გელა მთივლიშვილი აღნიშნავს, რომ ასოციაციას ეთიკის საბჭოში საჩივრის შეტანამდე მათთვის პრეტენზიით არ მიუმართავს, შესაბამისად, არ გამოუყენებია პასუხის უფლება. მისივე თქმით, კახეთის საინფორმაციო ცენტრმა სადაო ნიუსი პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა.

„გავეცანი ასოციაციის საჩივარს, რომელიც მათ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული და მიმაჩნია, რომ ორგანიზაცია ასე ხელაღებით არ უნდა ადანაშაულებდეს ჟურნალისტებს ქარტიის იმ მუხლების დარღვევაში, რომლებსაც გამოქვეყნებულ მასალასთან საერთო არაფერი აქვს, მაგალითად, ფაქტის განზრახ დამახინჯება, ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ. საწყენია, როცა არასამთავრობო ორგანიზაცია ასეთ დაუსაბუთებელ ბრალდებებს აყენებს. რაც შეეხება სადავო საკითხს, დაწვრილებით გავერკვევით და გადავწყვეტთ როგორ მოვიქცეთ“, - აღნიშნა გელა მთივლიშვილმა.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ სამ დღეში უნდა გადაწყვიტოს მიიღებს თუ არა ასოციაციის საჩივრებს განსახილველად.



### Recommendations



#### სტიქია კახეთში (Photos - Video)

იყავით მეგობრებს შორის პირველი ვინც რეკომენტაციას გაუწევს ამას.



#### 81 წლის ასაკში მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი გარდაიცვალა

იყავით მეგობრებს შორის პირველი ვინც რეკომენტაციას გაუწევს ამას.



#### გურჯაანის რაიონული პროკურატურა 10 წლის ბიჭის გაუპატიურების საქმეს იძიებს

იყავით მეგობრებს შორის პირველი ვინც რეკომენტაციას გაუწევს ამას.



#### წინასაარჩევნო კამპანიაში კუდ-ის და საგადასახადო სამსახურის მაღალჩინოსნებიც მონაწილეობენ

იყავით მეგობრებს შორის პირველი ვინც რეკომენტაციას გაუწევს ამას.



#### 17 მაისს თბილისში ჰომოფობიასთან ბრძოლის დღის აღსანიშნავად აქცია გაიმართება

იყავით მეგობრებს შორის პირველი ვინც რეკომენტაციას გაუწევს ამას.

Facebook-ის სოციალური ჩანართი